საქართველოს სოციალდემოკრატიული მუშათა პარტია. კვირა 9 თებერვალი 1919 წ. პროლეტარიანო ყველა ქვეყანა, შეერთდით!

ერთობა

ფასი 75 კაპ.

ფასი: 1 თვეში 18 მანეთი ცალკეა ნომერი ღირს 75 კაპ. განცხადების ფასი, როგორც პირველ გვერდზე, ისე მეოთხეზე ბეტიტის სტრიქონი—1 მან. სამგლოვიარო განცხადება 20 მან. სანქციონირებული განცხადება უნდა მოტანილი იქნას არა უგვიანეს ფილის 12 ს. ხელმოწერილი წერილები არ ბეჭდება. დეპეშებდან საგაზეთო მასალას რედაქცია არ ინახავს, ავტორებს ეგან ეერ დაუბრუნებს და ამის შესახებ არც წიგნურ მოწერას კისრულობს.

ადგილობრივ წარმომადგენლებმა ფული შემდეგი ადრესით უნდა გამოგზავნონ: თფილისი, ფოსტის ყუთი № 199 „ერთობის“ რედაქცია. ს

დღეს

მოხალისეთა ჯარის მიერ ვერაგული თავდასხმის გამო ჩვენმა საგარეო სამინისტრომ ნოტით მიმართა ინგლისის მისიას.

ხოხუმისა და გაგრის ოლქებში სამხედრო წესები გამოცხადდა. გენერალ-გუბერნატორად დაინიშნა გენერალი იოსებ გედევანიშვილი ქუთაისის გუბერნიაში 27—28 წლიანების მობილიზაცია სწარმოებს.

ახალციხის მაზრაში ჩვენმა ჯარმა დაიკავა ს. ფარეხი დანარჩენ სოფლებს წინადადება მიეცა იარაღის აყრის და ოსმალთა აფიცერ-ასკერების განდევნის.

საზავო კონფერენცია ვერ შეთანხმდა გერმანიის ახალშენების საკითხში და ამიტომ ეს საკითხი დროებით დღის წესრიგიდან მოიხსნა.

პარიზში ხდება რუსეთის მოხალისეთა ლეგიონი, რომელიც, ბალშევიკების ცნობით, შეუერთდება გენ. დენიკინის ჯარს.

ბრემენი მთავრობის ჯარმა დაიკავა. სპარტაკელები განდევნილ იქნენ.

გერმანიის საერო ყრილობა 6 თებერვალს გახსნა ებერტმა. მისალმების შემდეგ მან პოლიტიკური ხასიათის სიტყვა წარმოსთქვა.

ინგლისის ახალ სამხედრო ხელხზე ხელის მოწერა დაიწყო.

პორტუგალიაში მონარქისტებსა და რეს პუბლიკანელებს შორის ბრძოლა გრძელდება.

ციალურათ და პოლიტიკურათ ერთგვარი მიმართულების.

კონკრეტიულათ ჩვენი რესპუბლიკის მთავრობა დემოკრატიის ნება-სურვილის ამსრულებელია. ჩვენ შეგვიძლია დღესვე მოვთხოვოთ მას დანარჩენ სახელმწიფოებთან მოლაპარაკება და ვუკარნახოთ ჩვენი პროგრამა მოქმედებისა.

მაგრამ სომხეთსა და ადერბეიჯანში დემოკრატია, სამწუხაროთ, უმნიშვნელო, ან მცირე ფოებთა პოლიტიკაზე გავლენა არა აქვს.

ეს გარემოება გვაიძულებს ჩვენ ამ არა დემოკრატიულ მთავრობებთან მორიდებით ვიყოთ.

მაშასადამე, „მშაკს“ რომ თავის იდეის განხორციელება სწამდეს, უნდა ამ ორ რესპუბლიკაში დემოკრატიის გაძლიერებას ცდილობდეს. მაგრამ იგი სულ წინააღმდეგ იქცევა. იგი საქართველოს მთავრობასთან ბრძოლაში ლევს თავის ენერგიას. სხვები კი ამით მხოლოდ სარგებლობენ.

სამწუხაროთ, ეს ობიექტიური ფაქტია, რომელსაც ობიექტიურათ სწორედ წინააღმდეგი შედეგი მოაქვს, ვინემ ის, რასაც მიზნათ ისახავს „მშაკი“.

სამწუხაროთ, ობიექტიური შეშმარიტებაა ისიც, რომ პროფესიონალურ და ქალაქთა კავშირებისთვის იმ პოლიტიკური მისიის დაკისრება, რომელსაც იმათ „მშაკი“ აკისრებს და რომელსაც გაზეთი „სოც.-დემოკრატი“ მხარს უჭერს, თვით ამ კავშირებს მოუტანს ზიანს და დამბადებს მათში განხეთქილებას და არა გაერთიანებას. მაგრამ, თუ მაინც ამას ურჩევს გაზეთი ამ კავშირებს, ეს იმიტომ, რომ იგი გათიშვის სამსახურს ჩვეულა და თვით სად იდეასაც კი გათიშვის სამსახურათ იყენებს.

ამიტომ ჩვენ ამ გაზეთის გზას ვერ გავყვებით. ჩვენ გვგონია, რომ კავშირები, ქალაქის თუ პროფესიონალური მუშებისა, უნდა შეგროვდენ იმისთვის, რომ თავის მოვალეობათა სფეროში შეკრან კონტაქტი და შეათანხმონ მოქმედების გეგმა, ხოლო რესპუბლიკის პოლიტიკური გაერთიანების საკითხი მიანდონ პოლიტიკურ ძალებს და ორგანიზაციებს.

მოხალისეთა არმიის ვერაგული თავდასხმა

ინგლისის მისიის უფროსს.

საგარეო საქმეთა მინისტრმა ევგ. გეგეჭკორმა შემდეგი ნოტით მიმართა ინგლისის მისიის უფროსს:

„თქვენმა აღმატებულებამ იცის, რომ სოჩის ოლქი გვეკავა ჩვენ მოკავშირე სახელმწიფოთა სარდლობასთან შეთანხმებით და ამიტომ საქართველოს მთავრობა დარწმუნებული იყო, რომ ეს გარემოება არც ერთი მხრიდან არავითარს გაუგებრობას და გართულებას არ გამოიწვევდა.

„29 იანვრის № 643 ნოტით მე მქონდა პატივი შემეტყობინებინა თქვენი აღმატებულებისთვის, რომ სოჩის ოლქის რაიონში კონცენტრაცია ხდებოდა „მოხალისეთა ჯარის“ ნაწილებისა და გთხოვდით თქვენ მოგეცათ ჩემთვის სათანადო ცნობები, რომ საქართველოს მთავრობა დარწმუნებული ყოფილიყო იმაში, რომ რაზმების ეს კონცენტრაცია არ იქნებოდა მიმართული საქართველოს რესპუბლიკის წინააღმდეგ.

„ამის საპასუხოდ თქვენმა აღმატებულებამ 31 იანვარს № 124|5 ნოტით შემატყობინეთ ბრიტანეთის უმაღლესი სარდლობის დავალებით, რომ დიდი ბრიტანეთის მთავრობამ წინადადება მისცა გენერალ დენიკინს, რომ მას დაეცვა საქართველოს ხელუხლებლობა და შეეკავებინა თავი მის შინაურ საქმეებში ჩარევისაგან.

„საქართველოს მთავრობა სთვლიდა, რომ ეს ნოტა მისთვის შეიცავდა საკმაო გარანტიას, რომ „მოხალისეთა ჯარის“ კონცენტრაცია აღნიშნულ რაიონში აღარ წარმოადგენდა საფრთხეს საქართველოსთვის.

„მიუხედავად ამისა ჩვენ მივიღეთ ოფიციალური მოხსენებანი შესახებ იმისა, რომ „მოხალისეთა ჯარის“ ნაწილები 6 თებერვალს ვერაგულად თავს დაესხნენ ჩვენ სამხედრო ნაწილებს, რომლებიც იმყოფებოდნენ სოჩის ოლქში და იმავე დღის საღამოს სოჩის ოლქის ქართულ სამხედრო ნაწილების უფროსს გენ. კონიაშვილს წარუდგინეს ულტიმატუმი შემდეგი შინაარსისა:

„გენერალ კონიაშვილს. მე მივიღე ბრძანება ჩემი მთავრობისა დავიკავო სოჩის ოლქი იმ ძარცვა-გლეჯისა და ძალმომრეობის გამო, რომელიც არსებობს ხსენებულ ოლქში. ამიტომ სიხლის ღვრის თავიდან ასაცილებლად, წინადადებას გაძლევთ დაჰყაროთ იარაღი და ჩაგვაბაროთ მთელი სამხედრო მასალა. ყველა ქართველნი მეომრები და ადმინისტრაციის წარმომადგენლები იარაღის ჩაბარების შემდეგ განთავისუფლებულ იქნებიან და შეუძლიანთ წავიდნენ საქართველოში. იარაღის ჩაბარება უნდა მოხდეს 1919 წლის 24 იანვრის ღამის 12 საათამდე. № 157. ტუაპსის რაზმის უფროსი გენ. მაიორი **ბურნეგიჩი.** რაზმის უფროსის მოვალეობის ამსრულებელი პოლკ. **ეფრემოვი.** გადაცემულია 24 იანვარს, 1919 წ. 17 საათ. პოლკ. **ეფრემოვი.**

P. S. თუ იარაღს დროზე არ ჩამაბარებთ ჯარებს სოჩისაკენ დავსძრავ. გენ. მ. **ბურნეგიჩი**“.

„ვსცნობთ რა მოხალისეთა ჯარის ასეთ გამოსვლას, როგორც ვერაგულ და გაუმართლებელ უმიზეზო თავდასხმას საქართველოზე, რომელიც აშკარად არღვევს თქვენს მთავრობასა აღნიშნულს—საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ დამავალა განუცხადო თქვენ აღმატებულებას კატეგორიული პროტესტი მოხალისეთა ჯარის ასეთი გამოსვლის გამო და ვაცხადებ, რომ საქართველოს მთავრობა ურთიერთ ზეგავლენ ს პრინციპის მიხედვით მიიღებს ყველა ზომას თავის ინტერესების დასაცავად და იარაღით ხელში დაიცვას ტერიტორის ხელუხლებლობას და საქართველოს რესპუბლიკის მისი ხალხის უფლებებს და ინტერესებს“.

საგარეო საქმეთა მინისტრი

გეგეჭკორი.

სამხედრო წესები სოხუმის და გაგრის ოლქებში.

მთავრობის დადგენილებით სოხუმის და გაგრის ოლქებში გამოცხადებულ იქნა სამხედრო წესები. გენერალ-გუბერნატორათ დაინიშნა გენერალი იოსებ გედევანიშვილი. ქუთაისის გუბერნიაში 27—28 წლიანების მობილიზაცია გამოცხადდა.

სოჩის სომხები.

საქართველოში არსებულმა სომეხთა ეროვნულმა საბჭომ მიიღო ცნობა, რომ სოჩის ოლქში უკანასკნელი ადგილობრივი სომხები გამოვიდნენ საქართველოს რესპუბლიკის ჯარის წინააღმდეგო. გაარჩია რა შექმნილი მდგომარეობა, სომეხთა ეროვნულმა საბჭომ დაადგინა: დაუყოვნებლივ დეპეშით აცნობინ სოჩის ნაციონალურ კომიტეტს, რომ რათა უკანასკნელმა მიიღოს ზომები სომეხთა დასამშვიდებლათ და ამავე დროს ეთხოვოს საქართველოს მთავრობას გაგზავნოს სოჩაში საგანგებო კომისია, რომლის შემადგენლობაში უნდა შევიდეს სომეხთა ეროვნული საბჭოს ერთი წევრი.

რესპუბლიკის ჯარების მიმართ.

გამოიცა ბრძანება, რომ გენ. კონიაშვილის დაბრუნებამდე, ჯარების მთავარ-სარდლათ სოხუმის და სოჩის ოლქში ინიშნება გენერალური შტაბის გენერალ მაიორი ი. გედევანიშვილი. მას ემორჩილება საქართველოს ყველა სამხედრო გემები, სამხედრო მხრით კი ყველა ნავთსადგურები შავ ზღვაზე რესპუბლიკის საზღვრებით.

ფრონტისაკენ.

საპიორთა ბათალიონის პირველი სატელეგრაფო გუნდის ჯარისკაცები დიდის აღფრთოვანებით შეხვდნენ გუნდის უფროსის მოწოდებას, რომელშიაც ის აღნიშნავდა სოჩაში მოხალისეთა რაზმის მიერ ვერაგულად თავდასხმას და მოგვიწოდებდა სასტიკი წინააღმდეგობა გაუწიოთ სამშობლოს და რევოლიუციის მტრებს, რომლებიც ლამობენ მონარქიის აღდგენას და სისხლით მოპოვებულ თავისუფლების ჩახრჩობას.

ჩვენ, ჯარისკაცები მზათა ვართ სისხლი დავღვაროთ რევოლიუციის და თავისუფლების მტრებთან ბრძოლაში და არ მივცემთ ნებას ტალახში ამოსვარონ სისხლით მოპოვებული თავისუფლება დასავლეთიდან მომავალმა შავნელმა ყორნებმა.

როგორც ჩვენ, ისე მთელი ხალხი, ვისაც უყვარს თავისუფლება, იმედი გვაქვს დაირაზმებიან რევოლიუციის მტრებთან საბრძოლველად განურჩევლად პარტიული მიმართულებისა.

ჩვენ ჯარისკაცები და ოფიცრები პირველი სატელეგრაფო გუნდისა დღეს 8 თებერვალს, მივდივართ ბრძოლის ასპარეზზე. იმედი გვაქვს დანარჩენი ანხანაგებიც სამშობლოსა და რევოლიუციის საკეთილდღეოთ სისხლის დღვრას არ დაერიდებიან.

ვუსურვებ გამარჯვებას მტერთან საქართველოს გვირებს. წყველა კრულვა რეაქციონერებს.

გაუმარჯოს სოციალისტებს.

გაუმარჯოს დემოკრატიულ რესპუბლიკას!

საპიორთა ბათალიონის პირველი სატელეგრაფო გუნდის ჯარისკაცი **დიმიტრი ბახილაია.**

მოქალაქენო!

ხმა მიეცით საქართველოს სოც. დემოკრატიულ მუშათა პარტიის სიას!

უკანასკნელი ცნობები

ბათუმი.

საქართველოს ჯარის ორი აფიცერი აბაშიძე და ჩხარტიშვილი იყვნენ რა ბათუმში „ოტპუსკში“ წავიდნენ ბორჩხაში ნათესავების სანახავად. უკან დაბრუნებისას მარადიდთან ისინი დაკავებულ იქნენ ადგილობრივი რაიონის უფროსის ივანოვის მიერ, რომელმაც მათ მოსთხოვა დოკუმენტები და მიზეზები მისვლისა. მოისმინა რა პასუხი, მან გაანთავისუფლა ჩხარტიშვილი, აბაშიძე კი დაიპირა და უთხრა, რომ მას ბრძანება აქვს დაიპიროს ყველა აბაშიძენი. დაპერილი მიყვანეს ბათუმში, მეორე დღეს კი ის გაანთავისუფლეს, გაათენებინეს რა ღამე ყარაულის ქვეშ და განუცხადეს რა, რომ მას უფლება აქვს დარჩეს ორ დღეს ბათუმში, რადგანაც ინგლისელები დაგიბარებენ ცნობების მისაცემათო.

ქობულეთში შესდგა დიდი სასოფლო ყრილობა, რომელმაც აზრი გამოსთქვა ინგლისელებთან ერთად მუშაობისა. ყრილობა სასტიკ ტაში აღნიშნულს—საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ დამავალა განუცხადო თქვენ აღმატებულებას კატეგორიული პროტესტი მოხალისეთა ჯარის ასეთი გამოსვლის გამო და ვაცხადებ, რომ საქართველოს მთავრობა ურთიერთ ზეგავლენ ს პრინციპის მიხედვით მიიღებს ყველა ზომას თავის ინტერესების დასაცავად და იარაღით ხელში დაიცვას ტერიტორის ხელუხლებლობას და საქართველოს რესპუბლიკის მისი ხალხის უფლებებს და ინტერესებს“.

საგარეო საქმეთა მინისტრი

გეგეჭკორი.

სამხედრო წესები სოხუმის და გაგრის ოლქებში.

მთავრობის დადგენილებით სოხუმის და გაგრის ოლქებში გამოცხადებულ იქნა სამხედრო წესები. გენერალ-გუბერნატორათ დაინიშნა გენერალი იოსებ გედევანიშვილი. ქუთაისის გუბერნიაში 27—28 წლიანების მობილიზაცია გამოცხადდა.

სოჩის სომხები.

საქართველოში არსებულმა სომეხთა ეროვნულმა საბჭომ მიიღო ცნობა, რომ სოჩის ოლქში უკანასკნელი ადგილობრივი სომხები გამოვიდნენ საქართველოს რესპუბლიკის ჯარის წინააღმდეგო. გაარჩია რა შექმნილი მდგომარეობა, სომეხთა ეროვნულმა საბჭომ დაადგინა: დაუყოვნებლივ დეპეშით აცნობინ სოჩის ნაციონალურ კომიტეტს, რომ რათა უკანასკნელმა მიიღოს ზომები სომეხთა დასამშვიდებლათ და ამავე დროს ეთხოვოს საქართველოს მთავრობას გაგზავნოს სოჩაში საგანგებო კომისია, რომლის შემადგენლობაში უნდა შევიდეს სომეხთა ეროვნული საბჭოს ერთი წევრი.

რესპუბლიკის ჯარების მიმართ.

გამოიცა ბრძანება, რომ გენ. კონიაშვილის დაბრუნებამდე, ჯარების მთავარ-სარდლათ სოხუმის და სოჩის ოლქში ინიშნება გენერალური შტაბის გენერალ მაიორი ი. გედევანიშვილი. მას ემორჩილება საქართველოს ყველა სამხედრო გემები, სამხედრო მხრით კი ყველა ნავთსადგურები შავ ზღვაზე რესპუბლიკის საზღვრებით.

ფრონტისაკენ.

საპიორთა ბათალიონის პირველი სატელეგრაფო გუნდის ჯარისკაცები დიდის აღფრთოვანებით შეხვდნენ გუნდის უფროსის მოწოდებას, რომელშიაც ის აღნიშნავდა სოჩაში მოხალისეთა რაზმის მიერ ვერაგულად თავდასხმას და მოგვიწოდებდა სასტიკი წინააღმდეგობა გაუწიოთ სამშობლოს და რევოლიუციის მტრებს, რომლებიც ლამობენ მონარქიის აღდგენას და სისხლით მოპოვებულ თავისუფლების ჩახრჩობას.

ჩვენ, ჯარისკაცები მზათა ვართ სისხლი დავღვაროთ რევოლიუციის და თავისუფლების მტრებთან ბრძოლაში და არ მივცემთ ნებას ტალახში ამოსვარონ სისხლით მოპოვებული თავისუფლება დასავლეთიდან მომავალმა შავნელმა ყორნებმა.

როგორც ჩვენ, ისე მთელი ხალხი, ვისაც უყვარს თავისუფლება, იმედი გვაქვს დაირაზმებიან რევოლიუციის მტრებთან სამბრძოლველად განურჩევლად პარტიული მიმართულებისა.

ჩვენ ჯარისკაცები და ოფიცრები პირველი სატელეგრაფო გუნდისა დღეს 8 თებერვალს, მივდივართ ბრძოლის ასპარეზზე. იმედი გვაქვს დანარჩენი ანხანაგებიც სამშობლოსა და რევოლიუციის საკეთილდღეოთ სისხლის დღვრას არ დაერიდებიან.

ვუსურვებ გამარჯვებას მტერთან საქართველოს გვირებს. წყველა კრულვა რეაქციონერებს.

გაუმარჯოს სოციალისტებს.

გაუმარჯოს დემოკრატიულ რესპუბლიკას!

საპიორთა ბათალიონის პირველი სატელეგრაფო გუნდის ჯარისკაცი **დიმიტრი ბახილაია.**

მოქალაქენო!

ხმა მიეცით საქართველოს სოც. დემოკრატიულ მუშათა პარტიის სიას!

პასუხად ოსმალეთის აგენტებს

ოსმალეთის აგენტები არ სცხრებიან. მიუხედავად იმისა, რომ მათი მთავარი იმედი—ოტომანის იმპერია—დღეს დამარცხებული სულს დაფავს, ისინი ყოველ ღონეს ხმარობენ შექმნან ამიერ კავკასიაში ახალი ოსმალეთი, მარა გაცილებით უფრო მახინჯი და რეაქციონური, ვინემ იყო დესპოტიური ოსმალეთი. თუ წარსულში ეს მოსყიდული აგენტები მალულად მუშაობდენ, დღეს აშკარად გამოსულან და თავის მოდალატეობრივ საქმეების გასაღება საქართველოს ერთგულებათ მიაჩნიათ. უკანასკნელ დღეებში ირკვევა, რომ ქართველ ხუბრების გაზეთი „გრუზია“ უმთავრესი ნავთსაყუდელი ყოფილა ჩვენში დარჩენილი ოსმალეთის აგენტებისა, რომელთაც ჯერ კიდევ არ დაკარგვიათ იმედი თავის მიზნების განხორციელებისა.

მკითხველებმა იციან, რომ ამჟამად ახალციხის მაზრაში ფოცხოვიდან შემოკრილია ოსმალთა აფიცრების და ასკერების მეთაურობით ბრბო, რომელმაც ძალდატანებით აიყოლია ახალციხის მაზრის ოთხი-ხუთი სოფელი.

ჩვენ ხელთ გვაქვს უტყუარი საბუთები, რომ ახალციხის მაზრაში ამზადებდენ აჯანყებას, რომ თვით ხალხის საშუალებით დაემხოთ საქართველოს მთავრობა ახალციხე-ახალქალაქის მაზრებში და ძალა უფლება ხელთ ეგდოთ იმ ავანტიურისტებს, რომელნიც მთელი ამ ომის განმავლობაში ოსმალეთის ფულებით ნიადაგს უმზადებდენ ჩვენში ოტომანის იმპერიის გაბატონებას.

ეს პირები ყველამ იცის.

ერთი ასეთი და უმთავრესი მოღალატეთაგანია ბ-ნი ომარ ფაიკ ეფენდი, რომელიც ამ ჟამად მეტეხის ციხეში ზის და იქიდან „გრუზიას“ ფურცლებზე უმტკიცებს ქართველ საზოგადოებას, თითქო ახალციხის მაზრაში მოხდარი ამბები ჩემი უტაქტო მოქმედების შედეგი იყვეს, თითქო ომარ ეფენდის არასოდეს არ ქონია საქართველოს საწინააღმდეგო განზრახვები, მას არასოდეს არ უღალატნია ჩვენი ხალხისთვის.

პირველად ყოვლისა გადაჭრით უნდა განვაცხადო, რომ ომარ ფაიკი სტყუის, როცა ამბობს თითქო მე ქვაბლიანელ ბეგებს ხელს ვაფარებდე, მათ არ ვდევნიდე და მათი დახმარებით იფუშებოდეს აგრარული რეფორმა და სხვა რეფორმები, რაც თურმე ომარ ეფენდის სწადდა გაეტარებია ახალციხის მაზრაში. დავარწმუნებ ომარ ფაიკს, რომ მისებრ მოღალატე ქვაბლიანელი ბეგებიც დღეს ახალციხის ციხეში სხედან და მომავალი სამსჯავროალბათ ერთნაირად მიუზღავთ მათაც, როგორც მოღალატენ.

შეიძლება კაცი უტიფარი, უსირცხვილო იყო, მაგრამ ასეთი უტიფრობა და უსირცხვილობა ვერ წარმომედგინა. ომარ ფაიკი გვიმტკიცებს, რომ ის საქართველოს ერთგულია და არასოდეს ღალატი არ ჩაუდენია. ვნახოთ. ავალაპარაკოთ ფაქტები:

1) 1917 წლის აპრილში ომარ ფაიკის ხელმძღვანელობით აწყურში მოწვეულ იქნა ყაზანის, ყირიმის, ადერბეიჯანის და ახალციხე-არტაანის მუსულმანთა წარმომადგენლების კრება, სადაც შეადგინეს გეგმა კავკასიის, ყირიმის, ყაზანის და კასპიის მხარის ოსმალეთთან გაერთიანებისა. ეს გეგმა გახლდათ ენვერ ფაშას იმპერიალისტური კაბინეტისა და ამ იდეის საუკეთესო გამავრცელებლათ ჩვენში ოსმალეთს ჰყავდა ბ-ნი ომარ ფაიკ!

2) მაშინ, როცა ტრაპიზონის კონფერენციაზე ოსმალეთის დელეგაცია ორმაგ პოლიტიკას აწარმოებდა, საქმეს აბეანურებდა და ამავე დროს კი ბათუმ ყარსის წინააღმდეგ ჯარები მოჰყავდა, ბ-ნი ომარ ფაიკ ორი პირის თანხლებით წაბრძანდა კონსტანტინეპოლში და იქ განუცხადა ოტომანის იმპერიას შემდეგი: „ახალციხე ახალქალაქის მცხოვრებნი დაჟინებით მოითხოვენ ამ მაზრების ოსმალთა მიერ დაპყრობას. პირობას გაძლევთ, რომ მცხოვრებნი თვით კისრულობენ ოსმალთა ჯარების ამ მაზრებში შენახვას“. მისთვის ხალხს არ დაუკვალებია, მარა აბა რა ენაღვლებოდა, ეგ მოითხოვა ოსმალეთმა ბათუმში ახალციხე-ახალქალაქის დაცლა და ოკუპაცია.

3) ამ დროს ბ-ნმა ომარ ფაიკმა მოიყვანა ახალციხის მაზრაში ოსმალთა აფიცრები და დივიზიის შტაბი მოაწყო სოფ. ენთელში, საიდანაც შეტევას აწარმოებდა ახალციხის წინააღმდეგ.

4) როცა ბათუმის კონფერენციაზე ორივე მაზრები ოსმალეთს გადაეცა, ხოლო საქართველოს საზღვრებში დარჩა მხოლოდ აბასთუმანი და აწყური, მის ინიციატივით მოხდა აბასთუმანის სრული განადგურება და სასახლეების აოხრება. ის კი ამას ახლა აბრალებს მარტო ქვაბლიანელ ბეგებს. მას და ყარსის დღევანდელ ავანტიურისტთა მთავრობის მეთაურს ათაბეგოვს ამაში უდიდესი დანაშაული მიუძღვის. ჩვენ ვამტკიცებთ, რომ აბასთუმანიდან გამოტანილ ქონებას სოფ. ბოლაჯურში თქვენ დებულობდით.

5) ბ-ნი ომარ ფაიკ ოსმალთა ახალციხე-ახალქალაქში ყოფნის დროს მთელი ექვსი თვის განმავლობაში იმყოფებოდა ხალით ბეის შტაბთან და ოსმალეთის მძარცველ ჯარს ყოველმხრივათ ხელს უწყობდა გაეტანათ მაზრებიდან მთელი ჭირნახული და ქონება, რის გამო დღეს ეს ორი მაზრა ნამდვილ შიმშილს განიცდის.

6) როცა გადაწყდა, რომ ორივე მაზრა საქართველოს უბრუნდება, მისი მეთაურობით და მუსაკიევის, ათაბეგოვის, ფალავანდოვის და სამი სომეხის დახმარებით და თანამშრომლობით შეუდგნენ მოხალისეთა ჯარების შედგენას ჩვენს წინააღმდეგ, მარა, როცა თვით ხალხი არ დასთანხმდა ამ ავანტიურას, იძულებული გახდა იარაღი დაეყარა.

7) ბ-მა ომარმა გაგზავნა ერევანში მუსაკიევი და ერთი ექიმი, რათა მოლაპარაკება გაემართათ იქაურ მთავრობასთან სომეხთათარეთა შეთანხმებულ მუშაობაზე საქართველოს წინააღმდეგ ორივე მაზრების დასარჩენათ, მაგრამ ხალხი არ აყვა მის ფეხის ხმას.

აი ბატონო, ომარ, ფაქტები და გამოიჩინეთ გამბედაობა დაამტკიცოთ წინააღმდეგი.

ეხლა უკანასკნელ მუშაობის შესახებ. ჩვენს ხელში ჩავარდნილი საიდუმლო დოკუმენტი თქვენის აზრით შეთხზულია ქვაბლიანელ ბეგების მიერ, რომელთაც თქვენი მტრობა აქვთ, რის დასამტკიცებლათ მოგყავთ, რომ წერილი იწყება „ძმაო ეფენდი“ და არა ძმაო ომარ ფაიკ“. თქვენ თვით ამტკიცებთ ამ ბარათის სინამდვილეს. მე მოვიყვან ამ ბარათს სრულიად აქ:

„სრულიად საიდუმლოთ. ძმაო ომარ ფაიკ!

გაცნობებთ, რომ ყარსში დასავლეთ ამიერკავკასიის მთავრობა შესდგა, რომელიც ბოლშევიკებს ებრძოლა. ეროვნულ საბჭოს დეპუტატები არტაანიდან, ერევნიდან, ბათუმიდან და სხვა ყველა კუთხეებიდან ყარსში წავიდნენ.

მთავრობის ხელში საკმაო სამხედრო ძალაა. ყოველივე შინაური საქმეები ამ მთავრობის ხელშია, ყველა მუსულიმანები შეერთდენ.

გამჩენი ღმერთის ნებით ჩვენი ხალხი და ჩვენი სამშობლო უნდა გადარჩეს და დასავლეთ ამიერ-კავკასიის ერთი დამოუკიდებელი სახელმწიფო უნდა შეიქმნეს. ეხლა ჩვენი თხოვნა ის არის, რომ მიაქციოთ განსაკუთრებული ყურადღება ქვემორე ჩამოთვლილ წინადადებებს:

1) საქართველოს დამფუძნებელ კრების არჩევნებში არავინ მონაწილეობა არ მიიღოს და არც ერთი ხმა არ მისცეს.

2) არც ერთმა მუსულიმანმა საქართველოს მთავრობას იარაღი არ ჩააბაროს. ყოველ შემთხვევისათვის ეს იარაღები მზად გქონდეს, ჩვენ თვითონ დაგეჭირდება.

3) ამ წერილის შესახებ საჩქაროთ შეიკრიბეთ და მოილაპარაკეთ. ეხლავე ფოცხოვში გაგზავნეთ ერთი კაცი და გადაეცით ეს ამბავი დაწვრილებით.

4) თუ ვინმე მანდ ოსმალეთის ჯარისკაცები მოიპოვებიან პატივი ეცით და ხელში იყოლიეთ. ინგლისელები ყარსის მუსლიმანთა მთავრობას ხელს უწყობენ და მასთან კარგ განწყობილებაში არიან.

5) ამხანაგებთან ერთად ფოცხოვში უნდა მიხვიდეთ და იქ ყარსის წარმომადგენლებიც იქნებიან.

ასეთი წერილები თქვენს გარდა ეგზავნებათ მოლა სეიდს, მოლა ნურის და შაბან ყურბან ოღლებს. მოლაპარაკებაში მიიწვიეთ მოხელი შეხრი ეფენდი.

ახალციხის კომიტეტი.

ბათუმი. 21 იანვარი 1919 წელი.

აი ბ-ნო ომარ, სიტყვა-სიტყვით ეს დოკუმენტი. ის თათრულათაა დაწერილი და გადათარგმნა ქართველმა მუსლიმანმა ლიტერატორმა. მე მგონია შეცდომაში არ შეგვიყვანდა. ყველა ლიტერატორი ქართველი მუსლიმანი თქვენებრ მოღალატე ხომ არ იქნება.

ამ დოკუმენტში ნათქვამს ამტკიცებს ეხლანდელა ამბები. ყოველი პუნქტის შესასრულებლათ ზომებს ღებულობენ, გეგმა სისრულეში უნდოდათ მოიყვანათ. ბარათი ახალციხეში გამოგიგზავნეს იმიტომ, რომ იმ ხანებში თქვენ თფილისში თავისუფალი იყავით და ახალციხეში მოგეფიქრონენ.

მე მესმის თქვენი წერილების და „გრუზიას“ კომპანიის მიზანი. თქვენ გინდათ მოაჩვენოთ საზოგადოებას, თითქო საქართველოს აუჯანყდა ახალციხის მაზრის მთელი ქართველი მუსლიმანობა და ამით თვითგამორკვევის პრინციპის ნიღაბ ქვეშ გინდათ ეს ორი მაზრა ხელახლა მოსწყვიტოთ საქართველოს გულს, გარწმუნებთ ბ-ნო ფაიკ, რომ ეს ასე არ არის.

კატეგორიულათ ვაცხადებ, რომ ახალციხის ქართველი მუსლიმანობა საქართველოს მთავრობას არ აჯანყებია. ამ ჟამად სრული სიმშვიდეა აწყურის და ფურაველის რაიონებში, ხოლო ქვაბლოვანის რაიონის მხოლოდ ერთი ნაწილი დაიპყრეს ფოცხოვიდან შემოკრილმა ყარსის მთავრობის (ახალი ოსმალეთის) ბანდებმა. თქვენ იცით ფაიკ, რომ აწყური ყველაზე უფრო საშიში რაიონი იყო ჩვენთვის და თუ იქ ეხლა სიწყნარეა, ეს იმის ნიშანია, რომ თქვენ ავანტიურას ნიადაგი გამოეცალა, ხალხმა იცნო მოღალატენი.

აი მოკლეთ ის, რაც შემიძლია ვსთქვა ოსმალეთის აგენტების სპასუხოთ. ადერბეიჯანის გაზეთებს და „გრუზიას“ შეუძლიათ ამტკიცონ ომარ ფაიკის დიდი ლიტერატურული ნიჭი და გამჭრიახობა, მაგრამ ის ოსმალეთის ნამდვილი აგენტია და საქართველოს დაუძინებელი მტერია, ამის საწინააღმდეგოს ისინი ვერ დაამტკიცებენ. ეს ჩვენთვის უფრო დიდი ხანია გამორკვეული იყო, ვინემ ომარ ეფენდის უზენაესი ლიტერატურული ნიჭი.

სულთანოვებს, პეპინოვებს და კომპანიას, რომელნიც ჯერ კიდევ შარშან თფილისის სასახლეში ასრულებდნენ ოსმალეთის აგენტების როლს, დღეს შეუძლიათ ამტკიცონ წინააღმდეგი, მაგრამ მათი საქმენი საგ ირონი და ამიერ-კავკასიის ერების ტრაგედია ნათელჰყოფს მათი მოღალატე, სისხლში გასვრილ ხელებს.

ლ. რუხაძე.

დეკეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო).

8 თებერვალი.

ბალშევიკების ცნობები

მოსკოვი. ჩრდილოეთ კავკასია. ჩვენი ჯარი მტრის სიძლიერის გამო რკინის გზისკენ იხევს. **ხარკოვი.** უკრაინის მუშათა და გლეხთა დროებით მთავრობამ მოწოდებით მიმართა შესწყვიტონ სამოქალაქო ომი, რომელიც გენერლების და მემამულეების ინტერესებისთვის სწარმოებს. **ვენა.** გუშინ უმუშევართა მრავალ რიცხოვანი კრება მოხდა. ისინი მოითხოვენ დახმარებას დღიურათ 15 კრონს. **პარიზი.** ჩიკაგოდან იუწყებიან, რომ სოციალის-

ტების ბელადების საქმის გარჩევა თავდება. ისინი დამნაშავეთ იცნეს ამბოხების მოწყობაში და კანონების დარღვევაში. **კარნაფონი.** დაიწყო ხელის მოწერა ინგლისის ახალ სამხედრო სესხზე. **ლიხაბონი.** მონარქისტებმა და რესპუბლიკანელებს შორის ბრძოლა გრძელდება. ცხენოსან ჯარის იერიშის მოლოდინში ლისაბონის ქვედა უბანში მეზღვაურებმა ააშენეს ბარიკადები. ალმიდა გამოდის ქალაქის მოედნებზე. ბრბო სალამს უძღვნის მას, როგორც რევოლიუციის დამწყებს. **რიგა.** გერმანიიდან ჩამოსული კომუნისტი, ბრემენის მუშათა საბჭოს წევრი, შემდეგ დაწვრილებით ცნობებს იუწყება: მთავრობის ჯარის მიერ ბრემენის ალების წინ მომხდარ ამბების შესახებ: იანვრის 22—23 ბრემენის პროლეტარიატი ზეიმით დღესასწაულობდა ბრემენში სპარტაკელების მიერ ძალა-უფლების ხელში ჩაგდებას: დაწესებულებანი, ქარხნები, რკინის გზა და ტელეფონი არ მუშაობდა. იარაღი აჰყარეს ჯარს, რომელიც გაფიცვის შეწყვეტას სცდილობდა შეიარაღებული იყო ბრემენის 30,000-მდე მუშა. როზა ლიუქსემბურგისა და ლიბკნეხტის მოკვლის შემდეგ ბრემენის სპარტაკელებმა განაცხადეს, რომ გერმანიაში დახოცილ თითო კომუნისტის სამაგიეროდ ბრემენში 3 ბურჟუას მოჰკლავენ. 4 სხვილი ბურჟუა მძევლებად დააპატიმრეს და ციხეში ჩასვეს. ბრემენის საბჭოს გაუქმების შემდეგ ყველა დაწესებულება განაგრძობდა მუშაობას სპარტაკელების კანტროლის ქვეშ. ექიმების და აფთიაქის მოსამსახურეთა საბოტაჟი ძალით იქნა შეწყვეტილი. **ციურიხი.** პარიზში სდგება რუსეთის მოხალისეთა ლეგიონი „ომ ლიბრი“. ეს ლეგიონი დენიკინის ჯარს შეუერთდება.

ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲣᲚᲘ ᲞᲐᲠᲚᲘᲡᲘᲡ ᲪᲜᲝᲑᲔᲑᲘ.

ვეიმერში თებერვლის 6 გაიხსნა გერმანიის ეროვნული ყრილობა. ებერტმა მისალმების შემდეგ პოლიტიკური ხასიათის სიტყვა წარმოსთქვა.

თუმცა გაფიცვები უკვე დასრულდა, მაგრამ ბერლინი მაინც არ არის განათებული, რადგან ნახშირის შემოზიდვა შეჩერდა. ნახშირის სიცოცხლე გერმანიის სხვა ქალაქებსაც ემჩნევა.

რეიტერის სააგენტო იუწყება, სამშვიდობო კონფერენცია ვერ შეთანხმდა გერმანიის ახალშენების საკითხში და ამიტომ ეს საკითხი დროებით წესრიგიდან მოიხსნაო.

„ნაციონალურ ცეიტუნგი“ იუწყება, რომ სტრასბურგში მყოფი ფრანგების ჯარი შეიცვლება ელზასის ჯარით.

ბერლინში მყოფ საფრანგეთის ელჩი გიელტი ერთი თვით განთავისუფლდა. ფიქრობენ, რომ ის თავის მთავრობამ გაიწვია.

4 თებერვალს გაიხსნა გერმანულ ავსტრიის დროებითი ეროვნული ყრილობა.

გერმანიის ეროვნული ყრილობაში ახლად შემდგარმა სოციალ-დემოკრატიულმა ფრაქციამ აირჩია 13 კაცისგან შემდგარი წარმომადგენლობა, რომელთა შორის არიან: სახალხო რწმუნებული ებერტი და შეიდემანი, მიუნხენის სოციალ დემოკრატების უმრავლესობის ბელადი აუერი. საგარეო საქმეთა სამინისტროს მდივანი და აგრეთვე 1 ქალი.

გერმანიის მუშათა და ჯარისკაცთა ცენტრალურმა საბჭომ, რომელსაც დეკემბრის 3-ის სხდომაზე დაევალა კანტროლი გაუწიოს ცენტრალურ მთავრობის მოქმედებას და სახალხო რწმუნებულების გადაყენება-დანიშვნის უფლება მიეცა, გერმანიის ეროვნულ ყრილობას გაუგზავნა დიდი წერილი, რომელიც საჭიროდ სცნობს ახალი გერმანიის შექმნას, მისი მთლიანობის დაცვას, სახელმწიფოს ცალკე ნაწილების შორის ყველა უთანხმოების მოსპობას და მომავალ სახელმწიფო კონსტიტუციაში მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოების შეტანას.

გერსტენბერგის დივიზიის მიერ ბრემენის ალების შესახებ ამ ჟამათ დაწვრილებითი ცნობებია მოსული. ამ ცნობების თანახმათ თებერვლის 4 ღამით უკვე ბრძოლა იყო რამოდენიმე ადგილას. მაგრამ ის ყარაულებ შორის შეჯახების ხასიათის იყო. მას შემდეგ რაც მთავრობის ბრძანება მოვიდა ბრემენის დაჭერის შესახებ, დაიწყო ზარბაზნების და ტყვიისმფრქვეველების ცეცხლი. ბრემენის სპარტაკელები, რომლებმაც დახმარება მიიღეს ბრემენჰაფენიდან, პირველათ გამაგრდნენ, მაგრამ დიდი ზარალის შემდეგ მალე დასუსტდნენ. ბრემენის სობოროსა და ქალაქის თვითმართველობასთან მრავალი ყუმბარა დაეცა. ნაშუადღევს საათნახევარი დასვენება მოხდა. ამ ხნის გასვლის შემდეგ ცეცხლი ისევ განახლდა, რადგან სპარტაკელები არ ნებდებოდნენ. ერთი საათის ბრძოლის შემდეგ სპარტაკელები დამარცხდნენ და მთავრობის ჯარს უკვე შეძლება მიეცა საღამოს 6 საათზე ქალაქში შესულიყო და მთავარი დაწესებულებები დაეჭირათ. სპარტაკელებმა ვეზერის ბარკენი მხარისკენ დაიხიეს, სადაც ისინი მთავრობას კიდევ უწევენ წინააღმდეგობას.

ᲤᲠᲐᲜᲒᲣᲚᲘ ᲞᲐᲠᲚᲘᲡ ᲪᲜᲝᲑᲔᲑᲘ.

ხუთშაბათს საღამოს შესდგა ხალხთა ლიგის კავშირის კომისიის მე-4 სხდომა. თათბირში მონაწილეობა მიიღეს: პოლკ. შელენმა, ვენიზელოსმა, დმოვსკიმ, დიამანტიმ და კრამარჟმა, საბერძნეთის, პოლონეთის, რუმინიის და ჩეხო-სლოვაკების წარმომადგენლებმა. კომისიამ მოიწონა მისთვის განსახილველად წარდგენილ პროექტის ახალი მუხლები, რამაც მას საშუალება მისცა პროექტის განხილვა დაასრულოს ყველა იმ მთავარ საკითხებში სრული შეთანხმებით, რომელიც ხალხთა ლიგის პრაქტიკულ მუშაობას შეეხება. ამ ნაირად პრაქტიკულად მან შეასრულა თავისი სამუშაოს მეათასედი ნაწილი.

შრომის საერთაშორისო კომისია პარასკევს შეიკრიბა გომპერსის თავმჯდომარეობით. მან განაგრძო მუშათა კანონმდებლობის მუდმივი საერთაშორისო კონფერენციის დანიშვნის პროექტის შესწავლა და განიხილა ის ტექსტები, რომელიც შეეხება მუშათა ორგანიზაციებში სახელმწიფოთა წარმომადგენელთა რიცხვის განსაზღვრას. კომისიამ შესაძლებლათ სცნო ქალებსაც მიეცეთ უფლება დელეგატათ იყვნენ დანიშნული ზემოაღნიშნულ კონფერენციის მოსაწყობათ.

ᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲔᲝᲜᲘ!

ბალშევიკებისა და რეაქციონერების წყალობით მთელი რუსეთი აოხრეს, ქალაქები დაანგრიეს და აიწიოკეს.

საქართველოში სოციალდემოკრატიამ იხსნა ყველა ქალაქები დარბევა აწიოკების გან.

ხმა მიეცით სოციალდემოკრატიის სიას № 1.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

დღეს, კვირას, 12 საათზე ქალაქის საბჭოს დარბაზში დანიშნულია ქალაქის ხმოსანთა სოც. დემ. ფრაქციის კრება.

კავკავი და გროზნი. თფილისში მყოფი მთიელთა რესპუბლიკის ფინანსთა მინისტრის ცნობით გროზნი მთიელთა მთავრობის ჯარს აუღია, კავკავი—ინგუშების პარტიზანულ რაზმს.

ქართველ ხომეხთა ომის ისტორია. სამხედრო სამინისტროსთან შესდგა კომისია, რომელმაც უნდა შეადგინოს ხომეხ-ქართველთა ომის ისტორია.

ხომეხ ლტოლვილთა მესამე მატარებელი ალექსანდროპოლიდან დაბრუნდა. ამ მატარებლით იმ ლტოლვილთ წაიყვანენ, რომელთაც იქ უძრავი საკუთრება აქვთ.

ქურდობა. 7 თებერვალს, ღამით ბოროტგამზრახველებმა გასტეხეს ობოვიანცის მაღაზია, ბაზრის ქუჩაზე № 2, და წაიღეს სხვადასხვა ნივთები 50,000 მანეთისა.

გაძარცვა. 7 თებერვალს, ღამით 3 შეიარაღებულ ბოროტგამზრახველებმა კახელიშვილის ბინიდან კოჯორის გზატკეცილზე წაიღეს ნოხები და სხვა მრავალი ძვირფასი ნივთები.

დაიკარგა სოფ. თავ-სურებიდან თორმეტი წლის ბავშვი ჭიჭიკო კიკვაძე, წაბლის ფერი თმის, სუფთა სახის, ტანზე აცვია ძველი ხალათი. მნახველს ვთხოვთ შეატყობინოს იმავე სოფელში ირაკლი კიკვაძეს, ან თფილისში ალექსანდროვის ქ. № 49, გ. კიკვაძეს.

თავდაცვის ფონდს შესწირა მელქისადეკ ლებანიძემ 100 მანეთი. მანვე თავის სიძის პეტრე ხეთაგიშვილის ხსოვნის აღსანიშნავათ 1 ლ თებერვლიდან 1-ლ იანვრამდე 1920 წ. გაზეთი „ერთობა“ გაუწერა საბურთალოს ჭოლა ლომთათიძის სახელობის სამკითხველოს. ომში დაჭრილ ჯარისკაცებს 6 თვით.

მეოთხე რაიონული კოლექტივი და 1, 2, 3 და 13 უბნების საარჩევნო კომისიები დღეს, საღ. 5 საათზე, თავის ბიუროს ახალ ბინა (ოლღას ქ. 29) იწვევს პარტიის წევრთა საზოგადო კრებას. მოვალენი არიან მეოთხე რაიონში მცხოვრები ახალგაზრდა მარქსისტებიც დაესწრონ ამ კრებას.

საქართველოს წითელ ჯვრის საზოგადოებამ შეიძინა საქართველოს სახელმწიფო ხაზინის 5 პროც. ვალდებულებანი 500,000 მანეთისა.

ᲙᲠᲔᲑᲔᲑᲘ

დღეს, დილის ათ საათზე, ბიუროს ბინაზე შესდგება მე-6 რაიონულ კოლექტივის არაჩვეულებრივი სხდომა.

— **დღეს,** საღამოს 5 საათზე, მე-2 კომერციულ სასწავლებლის სადგომ „ჩუღურეთი“ მოხსენებას გააკეთებს დამფუძნებელ კრების შესახებ ამხ. კ. ქავთარაძე, დასწრება არა პარტიის წევრთაც შეუძლიანთ.

ᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲔᲝᲜᲘ!

ნაციონალისტები მუდამ ომის გაჩაღებას ელტვიან. მათ ხალხის სიხლე არ ენანებათ. სოციალდემოკრატია მშვიდობიანობის მოტრფიალეა. სოციალდემოკრატიამ შეძლო ხომხეთთან ომის დროზე დაბოლოვება.

ხმა მიეცით სოც. დემოკრატიის სიას № 1.

ᲐᲒᲠᲐᲠᲣᲚᲘ ᲠᲔᲤᲝᲠᲛᲐ ᲝᲡᲔᲗᲨᲘ

ცხინვალის ჩრდილოეთით, ლიახვის სათავეებში მდებარე მთიან ადგილას 130 მდე პატარ-პატარა ოსური სოფლებია. მცხოვრებლების რიცხვი დაახლოვებით 1500 კომლამდე იქნება. ყველაზე დიდი და მნიშვნელოვანი სოფელი არის—ჯავა, საცა იმყოფება რაიონის კომისარის კანცელარია. მთელ ამ ადგილს უძახიან სამთო ოსეთის უბანს.

ყველა აქ მცხოვრები ოსნი გლეხები არიან. ამ ალაგას ერთად ერთი თავადები—მაჩაბლები არიან, რომელთა საკუთრებას შეადგენდა მთელი ეს ალაგი დაახლოვებით 70 000 დესეტინა. ძველათ მაჩაბლები ჩიოდენ, რომ ვითომ ოსები მათი ყმები ყოფილიყვნენ, მაგრამ ოსები მაგარნი გამოდგნენ თავის თავისუფლების დაცვაში. ამოირჩიეს კაცები, რომელნიც დაუღალავათ და მედგრათ ჰკრებდენ საბუთებს და ყველა დაწესებულებებში ამტკიცებდენ თავის უფლებებს. თვით პეტერბურგის სენატიც კი არ დარჩათ მათ მოუვლელი. ამასთან ერთად მთავრობამ კარგად იცოდა, რომ იმ მიუვალ ადგილებში, საცა ეს ოსები სცხოვრობენ, ძნელია ცარიელი ძალით ამისთანა კერპი ხალხის დამორჩილება და ამიტომ დაადგინა: ოსები ცნობილ იყვნენ, თავისუფალ გლეხებათ, მაჩაბლებს მიეცეს საშვილიშვილოდ პენსია 5000 მან. წელიწადში იმ პირობით, რომ მათ მოსპონ ყოველივე თავისი საჩივრები ოსების ყმებად ცნობის შესახებ. მაჩაბლებს არა აქვთ უფლება აჰყარონ ოსები ამ ადგილებიდან, ოსები კი ვალდებულნი არიან გადაუხადონ მაჩაბლებს ყოველწლიურად მეათედი ყოველი მოსავლისა. ეს მეათედი მათ უნდა ჩაბარონ ადგილობრივ და არ არიან ვალდებულნი მიუტანონ თავად მაჩაბლებს მათ სახლში.

ამ უკანასკნელ მუხლს ჰქონდა ძალიან დიდი მნიშვნელობა. იმ მთიან ადგილებიდან თავადებს არ შეეძლოთ უგზოობის გამო ჩამოეტანათ ლალა სოფ. თამარაშენში, სადაც თვითონ მაჩაბლები სცხოვრობდენ. ამიტომ უმეტეს შემთხვევაში ურიგდებოდნენ ოსებს ფულათ, ისიც ძალიან პატარა ფასებში. ასე, მაგალითად სოფელი ჯავისთავი იხდიდა 97 მანეთს წელიწადში. ბევრჯელ სრულიადაც ვერაფერ ლალას ვერ იღებდენ თავადები. ერთობის დროს, 1905 წელში, ხომ არავინ არც კი იფიქრებდა ლალის გადახდევინებას.

ამ პირობებში გასაგებია, რომ მაჩაბლები ეძებდენ მყიდველს, რომ ეს მამული გაესაღებინათ და სათანადო მყიდველებიც იშოვეს. ეს იყვნენ წარჩინებულნი პირნი პეტერბურგის ბობოლები „დეისტვიტელნი სატსკი სავეტნიკი“ დემიანოვი და „კამერციის სავეტნიკი“ ჟირნოვი. ამ პირებს ჰყავდათ მოურავები—პავლოვსკი და სვეტნაკოვი, დაგეშილნი გლეხების ტყავის გაძრობაში. ამათ აიყვანეს თავის ყარაულებათ ოსებისაგან შეძულებულნი ნაყაჩაღარნი და ნასტრაფნიკალები, დაუნიშნეს მათ კარგი ჯამაგირები, მოურიგდენ უბნის პრისტავს არენეცს, რომ მისცემენ მას ნაწილს იმ ლალისა, რომელსაც აიღებენ გლეხებიდან, მოიწვიეს „მირიოვოი პასრედნიკი“ ჩაჩიკოვი და დაიწყეს იერიშები. დროც კარგი იყო მათთვის; რევოლიუცია ჩაქრობილი იყო ყაზაკების რაზმებით, ხალხი მიჩუმებული და დაშინებული. მთელ იმ წვალებას და გამწარებას, რომელიც მიაყენეს ამ მოურავებმა ოსებს, ჩვენ აქ ვერ ჩამოვთვლით, ამას მთელი წიგნი მოუნდებოდა, ვუამბობთ მკითხველს მარტო ზოგიერთ შემთხვევებზე. 1913 წელს ნოემბერში მივიდა სვეტნიკოვი პრისტავ არენეცით და თავისი და პოლიციის „სტრაჟნიკებით“ სოფელ ჯავისთავში და მოსთხოვა მათ ლალა 1000 მანეთზე მეტი. მაგ უპასუხეს, რომ,როგორც უძლევიათ, იმას მისცემენ—97 მანეთს, ან თუ უნდა, აიღოს ჭირნახულის მეათედი. კანონით, როცა გლეხებ და მემამულის შორის დავა ასტყდება, პოლიციამ უნდა საქმე გადასცეს „მირიოვოი პასრედნიკს“. რასაკვირველია, ასე არ მოიქცა პრისტავი არენეცი. მან გასცა ბრძანება საერთოდ თითო კომლისაგან თითო ხარი. მაგრამ გლეხებს წინა ღამეს დაეფიცნათ ხანჯლის ტარებზე, რომ არ მისცემენ იმაზე მეტს, რასაც აძლევდნენ, და აი ჩამოჰკრეს ეკლესიის ზარები, შეაქუჩეს ხალხი და მოუღერეს გამცემლებს კეტები და ხანჯლები. პრისტავი იძულებული იყო გამობრუნებულიყო იმისაგან, რომ მეტი ძალა მოეყვანა და როცა მეორეთაც ვერაფერს გაჰხდა, მაშინ დაეჭირეს ამ სოფლიდან 23 კაცი, ესე იგი ლამის ყველა ვაჟკაცები, ჩასვეს ციხეში და გადასცეს გუბერნატორის მოთხოვნით სამხედრო სასამართლოს. სასამართლოში, გაეცნო რა საქმეს, არც კი მიიღო გასარჩევად, დაადგინა: მოიპოს საქმე და განთავისუფლდენ დაჭერილები, მაგრამ 4 კაცი იმათგან—თანდილა, ვასო, მალხაზ და სავა ბაგაურები განთავისუფლებამდე მოკვდენ ციხეში.

მათრახებით, საქონლის წართმევით და სიკვდილის შიშით, მოურავი სვეტნაკოვი და პრისტავი არენეცი აზიდვინებდენ გლეხებს ლალას იქ, საცა მოურავი თხოულობდა. ოსებს შეჰქონდათ საჩივარი, მაგრამ ამაოდ, მაშინაც კი, როცა ოსებმა აიყვანეს ადვაკატი, ერთი სოციალდემოკრატი, რომელმაც ბევრი ძებნის მერე იპოვა ძველ საქმეებში „ნამესტნიკის“ ვარანცოვის პირდაპირი განკარგულება, რომ ოსები არ არიან ვალდებული მიუზიდონ ლალა მემამულეს, ამასაც კი არ მიაქციეს ყურადღება ძველმა მემამულის მხარეზე მდგომმა მოხელეებმა. „მირიოვოი პასრედნიკმა“ დაადგინა—დაევალოს ოსებს ჩამოუზიდონ ლალა მემამულეს. „კრესტიანსკი პრისუტსტვიამ“ ვერ გაბედა პირდაპირ გვერდი აეცვლა ნათელ კანონისათვის და აი რა ოსტატურად მოიქცა: დაადგინა წარუდგინოს სენატს თხოვნა, რომ მან მოსპოს ძველი გადაწყვეტილება ლალის ჩამოტანის შესახებ მანამ კი ოსები ვალდებულნი არიან ჩამოუტანონ მემამულეს ლალა თავისი ცხენებით და ურმებით. მან კარგად იცოდა, რომ სენატში რამდენიმე წლობით გდია საქმე და ამ ხნის განმავლობაში აძლევდა მემამულეს უფლებას უკანონოთ წაერთმია გლეხებისათვის ათჯერ და ასჯერ მეტი ლალა! ამრიგათ ძველი მთავრობის დახმარებით აშკარა უკანონოთ აწვალებდენ მემამულეები სამაჩაბლო მიწებზე მცხოვრებ ოსებს.

მიუხედავათ ამისა, რომ კანონით ოსებს ჰქონდათ ნება ტყის მოჭრის თავის საჭირო ებისათვის და საძოვრებით სარგებლობის თავისი საქონლისათვის, მათ დემიანოვის მოურავმა პავლოვსკიმ დიდი ფული გადაახდევინა როკის საზოგადოებას საიჯარო წელში შეიტანენ გლეხები საჩივარს, მაგრამ ყურადღებას არავინ არ აქცევდა. ძალა მემამულეების ხელში იყო და რაც მოეპრიანებოდათ იმას სჩადიოდენ. იქამდე გაუშირდათ და გაუშხამდათ ოსებს ცხოვრება სამაჩაბლო მიწებზე, რომ ბევრმა ფიქრიც კი დაიწყეს მამა-პაპეულ სამშობლო მხარედან აყრისა და მოწინავე გლეხები კი, რომელნიც უხელმძღვანელებდენ ოსებს მათი უფლებების დაცვაში, იძულებულნი გახდენ გადავარდნილიყვნენ სხვა მხარეში.

და აი ეხლა სწორედ ეს (სამაჩაბლო) მიწები იანვრის 24 ს კანონით გამოცხადებულია მათზე მოსახლე ოსების სრულ საკუთრებათ და სრულიად უსასყიდლოდ. ეს მიწები ჩამორთმეულია თავად მაჩაბლებისაგან, დემიანოვის, ჟირნოვის და სხვა მემამულეთაგან, რომელნიც უკვე მეათედს კი არა, ერთ გროშსაც კი ვერ მოსთხოვენ მშრომელ ოსებს მათი ნაშრომიდან. ამ მიწებიდან ერთი მტკაველი მიწაც არ ეტოვებათ ამ მემამულეებს, გლეხ ოსებს კი მიეცემათ ამ მიწებზე აქტები, როგორც მათ საკუთარ მიწებზე. მერე ვინ შეადგინა ეს კანონი?-- სოციალდემოკრატმა მინისტრმა ხომერიკმა; ვინ დაამტკიცა?—საქართველოს პარლამენტმა, საცა უმრავლესობა სოციალდემოკრატები არიან. ეს კარგათ უნდა დაიხსომონ სამაჩაბლოს ოსებმა. უნდა დაიხსომონ იმიტომ, რომ ისინი ერთობიდანვე სოციალდემოკრატებს მისდევდენ, სოციალდემოკრატიას აძლიერებდენ და აი ეხლა იგემეს ნაყოფი თავისი მოქმედებისა, ბევრჯერ ხახლის მტრებს ჩაუძახიათ მათთვის, ვითომ სოციალ-მოკრატები თავად-აზნაურებისაგან მოსყიდულნი არიანო, მაგრამ აი სოციალდემოკრატების საქმე, და დეე ყოველმა შეგნებულმა ოსმა თავის სვინიდისით ჰკითხოს თავის თავს, მართალი იყვნენ, თუ არა ეს პროვოკატორები.

ჩვენ ულოცავთ სამთო ოსეთის გლეხობას სამუდამოთ განთავისუფლებას თავის მემამულეებისაგან და განვლილ ჭირვარამისაგან და ვუსურვებთ ისევე მედგრათ მიჰყვეს ხალხის თავისუფლების დაცვაში თავის მეთაურებს სოციალდემოკრატებს, როგორც წინათ დაწყებული ერთობიდან. **ლ. ახათიანი.**

ᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲔᲝᲜᲘ!

ქართველი ნაციონალ დემოკრატები რეაქციას ემხახურებიან და მემამულეთა ინტერესებს იცავენ.

ხმა მიეცით მემამულეთა პარტიის წინააღმდეგ.

ხმა მიეცით სოც. დემოკრატიის სიას № 1.

ს.-ᲓᲔᲛ. ᲞᲐᲠᲢᲘᲐᲨᲘ

თფილისი. ხუთშაბათს ბიუროს ბინაზე, ამხ. ლ. ბერიტაშვილის თავმჯდომარეობით შესდგა ს. ს. დ. მ. პ. მეოთხე რაიონული კოლექტივის და ამავე რაიონის საარჩევნო კომისიების შეერთებული სხდომა. სხდომამ განიხილა შემდეგი კითხვები: 1) საარჩევნო მუშაობა, 2) საბურთალოს მცირე კოლექტივის განცხადება, 3) ფონდის შესახებ კომისიის მოხსენება, 4) სამეურნეო კომისიის მოხსენება, 5) წევრთა მიღება და 6) პარტიის წევრთა შესახებ.

პირველ საკითხზე მოხსენებას აკეთებს ამხ. ი. მესხი, ის ახასიათებს წარსულ ქალაქის არჩევნების მიმდინარეობას და აღნიშნავს მუშაობის, როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მხარეების და ამბობს, რომ მიუხედავათ ჩვენი ბრწყინვალე გამარჯვებისა, ჩვენს მუშაობას მაინც ეტყობოდა გულგრილობა და ერთგვარი უორგანიზაციობა. საჭიროა ამით ვიხელმძღვანელოთ დამფუძნებელი კრების არჩევნებში და გაასკეციებული შრომით გავაკეთოთ ის, რის გაკეთებაც შეიძლება და რაც თვითეული ჩვენგანის მოვალეობაა. სხვათა შორის ის აღნიშნავს იმ საგრძნობ დახმარებას, რაც ჩვენ ახალგაზრდა მარქსისტებმა გაგვიწიეთ. ამ კითხვაზე ლაპარაკობენ მთელი წყება ორატორებისა და ყოველ მხრივ აშუქებენ მუშაობის მიმდინარეობას, რის შემდეგ სხდომა წარსულ არჩევნებზე მოხსენებას იღებს მხედველობაში და ისმენს მომავალ არჩევნების შესახებ ამხ. ე. მ. მახვილაძის მოხსენებას, რომლისგანაც სხდომა იღებს რამოდენიმე კითხვებს ცალკე განსახილველად და მას სათანადოთ სჩრის. ხოლო კითხვების საბოლოოთ გადასაჭრელად და საჭირო სასწრაფო ზომების მისაღებად სხდომა ადგენს, კვირას, 9 თებერვალს, საღამოს 5 საათზე მოწვეულ იქნას მეოთხე რაიონის პარტიის წევრთა საზოგადო კრება, რის შემდეგ შეერთებული სხდომა იხურება და კოლექტივი განაგრძობს თავის კითხვების განხილვას. მეორე კითხვის შესახებ მდივანი კითხულობს საბურთალოს მცირე კოლექტივისა და საარჩევნო კომისიების სახელით ამხ. ს. მიხეილიძის მიერ შემოტანილ განცხადებას, რომელიც თხოულობს სამ კაცს, ქართულ, რუსულ და თათრულ ენაზე, კვირას, დღის 3 საათზე, საბურთალოს საარჩევნო მიტინგებზე მოხსენების გასაკეთებლად. სხდომა ავალებს კოლექტივის მდივანს მიიღოს სათანადო ზომები. მესამე კითხვის შესახებ, რადგანაც არც ერთი წევრი ფონდის შემკრებ კომისიისა არ ადმოჩნდა კრებაზე, კოლექტივი ირჩევს ამხ. მ. ბერეტიანს და ავალებს, რომ მათ მიერ მიღებულ იქნას სასწრაფო ზომები საჭირო თანხის შესაკრებად. მეოთხე კითხვა ღიათ რჩება. მეხუთე კითხვის შესახებ სხდომა ადგენს პატაკშვილი არ იქნას მიღებული პარტიაში, ხოლო ასათიანი საერთო წესით. მეექვსე კითხვის შესახებ სხდომა ადგენს ეცნობოს პარტიის წევრ ნოე თოთიბაძეს დაუყონებლივ წარმოადგინოს, მასზე წამოყენებულ ბრალდებების გასამართლებელი საბუთები, წინააღმდეგ შემთხვევაში კოლექტივი მოიქცევა ისე, როგორც მას პარტიის ინტერესი უკარნახებს, ხოლო გასილი მურუკაშვილის შესახებ ეთხოვოს რკინის გზის მცირე კოლექტივს სასწრაფოდ წამოაყენოს სათანადო ბრალდებები კითხვის გასარკვევად, რის შემდეგ სხდომა იხურება.

მდივანი.

ხ. პატარძეული (ბარეთ კახეთი). 22 იანვარს მოხდა ადგილობრივი სოც. დემ. მუშათა პარტიის წევრთა კრება. დღ ს წესრიგში იყო შემდეგი კითხვები: 1) მიმდინარე მომენტი 2) დამფუძნებელი კრება. ოქრო ლაკაბიძემ ვრცელი მოხსენება გააკეთა მიმდინარე მომენტზე.

დამფუძნებელი კრების არჩევნებში კოალიციამ გადასწყვიტა მხურვალე მონაწილეობა. მიიღოს ამავე საღამოს შესდგა ადგილობრივი სახალხო გვარდიის კრება მომწყობი კომისიის ხელმძღვანელობით. ო. ლ.—ძემ მოკლეთ გააცნო სახალხო გვარდიის ისტორია და მისი დაწყალი საქართველოს რესპუბლიკის წინაშე. კრებაზე ფეხზე ადგომით პატივი სცეს სანდრო მაისურაძის და დანარჩენ გმირულათ დაღუპულ გვარდიელთა ხსოვნას.

არჩიეს პატარძეულის გვარდიელთა რწმუნებულათ კოტე ოთარაშვილი და მთელი შტაბის შემადგენლობა. გადასწყვიტეს აღძრან შუამდგომლობა თფილისის მთავარ შტაბთან, რომ სოფელს უფლება მიეცეს გამოეყოს ხაშმის შტაბს და დაარსოს ცალკე გვარდიის შტაბი. კრებაზე გამოიმუშავეს ჯარიმები იმ გვარდიელთა მიმართ, რომელნიც უბრალოთ არ წყვიდნენ ფრონტზე. საჭიროა მთავარმა შტაბმა გამოცდილი ინსტრუქტორები დაუნიშნოს სოფლის შტაბებს. გაუწიოს ხელმძღვანელობა, მოახდინოს რევიზია და სხვ.

ო. მაშოშვილი.

ᲛᲘᲬᲐᲓ-ᲛᲝᲥᲛᲔᲓ. ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲨᲘ

თელავის მაზრიდან ჩამოსულმა დეპუტაციამ: ვარ. ფერაძის და კ. სეხნიაშვილის სახით ინახულეს მიწად-მოქმედების მინისტრის ამხ. გელეიშვილი, რომლის წინაშეც აღძრეს შუამდგომლობა ტყის სიძვირის გამო მაზრაში ულარიბეს გლეხ კაცობას ნაყარი შეშა და ფიჩხი ნაკლებ ფასებში დაეთმოთ და სახლში სახმარებელი შეშა და ვენახებისათვის საჭირო ჭაგო ნახევარ ფასებში. მასთან მოახსენეს ისიც, რომ ვენახებში დატანებული ჯაგნარების და მიწებში დაყოლილი წვრილიანების მეპატრონეთ მასში ხმარება ნუ აეკრძალებათ. იშუამდგომლეს სასაფლაო ადგილების გადაცემის შესახებაც საფონდო მიწებიდან, ზოგიერთ სოფლების საჭიროებისათვის.

მინისტრის ამხანაგმა აღუთქვა დახმარება და განკარგულების მოხდენა ასეთი შეღავათების შესახებ,

საბოლოოდ კი მინისტრის ამხანაგმა განუმარტა დეპეტაციას, რომ 20 თებერვალს მოწვეულ იქნება ერობის წარმომადგენელთა თათბირი, სადაც დაისმება ასეთი საკითხები. ერობას მიეცემა ერთგვარი დირექტივები ტყეების შესახებ. **X.**

ᲛᲣᲨᲐᲗᲐ ᲛᲝᲫᲠᲘᲡ

თფილისი. რკინის გზელთა მუშა-მოსამსახურეთა კრება მოწვეული თფილისის ქვეკოლექტივის მიერ საქონლის სადგურზე აცხადებს: 1) მუშათა კლასის ინტერესებს 25 წლის განმავლობაში თავდადებულად იცავდა მხოლოდ სოციალდემოკრატიული მუშათა

პარტია, 2) როცა რუსეთში გაბატონდა ანარქია, რის გამო რუსეთი დაირღვა, ბალშევიკების პოლიტიკის გამო, სოციალდემოკრატიამ გამოაცხადა საქართველო დამოუკიდებლობა და აქ დაამყარა რევოლიუციონერი წესრიგი, შეინარჩუნა დიდი რუსეთის რევოლიუციიდან მონაპოვარი თავისუფლება. კრება ნდობას უცხადებს სოციალ-დემოკრატიულ პარტიას და ადგენს ყველა ხმები მისცეს სიას № 1.

— —

ᲐᲒᲕᲐᲚᲐ. 4 თებერვალს სადგურ ავჭალის რკინის გზის და ავჭალის წყალსადენის მოსამსახურეების საერთო კრება შესდგა. დაესწრო ამხანაგები კოსტა შენგელაია და სიმონ მეიპარიანი, რომლებმაც ილაპარაკეს დამფუძნებელ კრებაზე და ორგანიზაციის მოწყობის შესახებ. რაც შეეხება ორგანიზაციას, გამოირკვა, რომ არსებობს სასოფლო ორგანიზაციული წრე. კრებამ სასურველათ სცნო, რომ გაერთიანდეს არსებულ წრესთან რკინის გზის და წყალსადენის მოსამსახურეები. გაგზავნონ ორ-ორი წარმომადგენელი, რკინის გზამ ორი და წყალსადენმა ორი. ამას მიეცეს ორგანიზაციის მომწყობი ბიუროს სახე, რომელსაც დაევალოს ახლო მომავალში მოიწვიოს გაერთიანებული კრება სოფლისა, რკინის გზისა და წყალსადენის, რომ ამოირჩიონ მუდმივი კოლექტივი. რკინის გზის მოსამსახურეების მხრიდან ამორჩეულია კაპიტო სამსონია და გიორგი კალატოზიშვილი. წყალსადენი გამოგზავნის წარმომადგენლებს ახლო მომავალში.

კრების თავმჯდომარე კაპიტო სამსონია.

მდივანი იესე ხინველი

საარჩევნო ფონდი.

მე-43 საარჩევნო უბნის ზუბალაშვილის სახლში დადგმულ ყუთთან დანიშნულ პარტიის წარმომადგენლებმა: ზ. კოშკაძემ, თ. ხუხუნაიშვილმა, მეხუზლამ, ლ. ელბაქიანმა, გ. ხუციძემ, ც. ფანიაშვილმა, ტ. კუპარაძემ, ქ ნ ქარუმიძემ, ლ. თუბარელმა, სანიკიძე-ვალაბუევისამ და ფიტალი-ბეკ ახუნდოვმა ქალაქის თვითმართველობის მიერ არჩევნების დღეს (2 თებერვალს) საუზმისათვის გადმოცემული ასი მანეთი (100 მ.) შესწირეს დამფუძნებელ კრების საარჩევნო ფონდს.

ᲞᲠᲝᲢᲘᲜᲪᲘᲐ

ᲚᲝᲬ. ᲡᲐᲒᲐᲠᲔᲯᲝ. (გარეთ-კახეთი) 2 თებერვალს, მოხდა ადგილობრივი შეშნახველ-გამსესხებელი ამხანაგობის წლიური საზოგადო კრება. გასარჩევი იყო შემდეგი კითხვები: გასული წლის ხარჯთ-აღრიცხვა, მიმდინარე წლის ხარჯთ-აღრიცხვა და ახალი გამგეობის წევრ. არჩევა მოხსენიებიდან გამოირკვა, რომ წმინდა შემოსავალი 5038 მან. 97 კ. ყოფილა. ეს ფული გაანაწილეს შემდეგ ნაირათ: 400 მან. ადგილობრივ თეატრს, 300 მან. საფეიქრო სკოლას, 300 მ. უფასო წიგნ-საკავ სამკითხველოს, დანარჩენი 4038 მ. 97 მიემატება ძირითად თანხას. მოსამსახურეებს დაუნიშნეს ჯამაგირები: მდივანს, გამგეობის თავმჯდომარეს, ხაზინადარს და ერთ წევრსა 300 მანეთი თითოს, სარევიზიო კომისიის წევრებს თვეში 20 მ. მოულოდნელი ხარჯებისთვის გადაიდო 1500 მან., ყარაულს 60 მ. თვეში, სახლის ქირა 50 მ. შემდეგ აირჩიეს ფარული კენჭის ყრით გამგეობის წევრები: სამსონ მჭედლიშვილი, დიმ. ბურთიკაშვილი და კოლა ქურდოვანიძე. სარევიზიო კომისიის წევრები ისევ ძველები დასტოვეს. ამავე კრებაზე ილაპარაკა ოქრო ლაცაბიძემ საქართველოს დამფუძნებელ კრების შესახებ, რის შემდეგაც ხალხმა ერთხმად დაადგინა ხმა მისცეს № 1. 2 თებერვალს შესდგა ადგილობრივი სახალხო გვარდიის კრება. მოახდინეს შტაბის რეორგანიზაცია. რწმუნებულათ და შტაბის თავმჯდომარეთ ერთხმად აირჩიეს იაკობ აზარიაშვილი, მდივნათ ვასო აზარიაშვილი, ხაზინადრათ ვ. ქაიხოსროშვილი, ასისთავად გიორგი ალდგომელაშვილი. საჭიროა მთავარ შტაბმა დაუნიშნოს გამოცდილი ინსტრუქტორი, რაც ხელს შეუწყობს სახალო გვარდიის საქმის განმტკიცებას.

ოქრო.

წერილი რედაქციის მიმართ

„ერთობის“ მე-16 ნომერში მოთავსებული იყო წერილი სოფელი ამხანაგისა, სადაც ის სწერს. რომ ს. იყალთოში (თელავის მაზრა) ამოურჩევიათ საზოგადოების კომისრათ ლავრ. ჩხიკვაძე და ამბობს, ეჭვი ეპარება, რომ მე არ ვარ საზოგადოების მიერ არჩეული, არამედ ჩემის ნებით ჩამდგარი ამ თანამდებობაში. ამასთან თითქოს მე, როგორც ძველ მთავრობასთან, ისე ახალ მთავრობასთან ვიყო არა სპეტაკი. ჩემ სისპეტაკეზე მოსალაპარაკებლათ ვსთხოვ სოფელ ამხანაგს გამობრძანდეს სამედიატორო სამართალში და მედიატორულმა სამართალმა დაამტკიცოს ჩემი არა სისპეტაკე. ჩემის მხრით მედიატორებათ ვასახელებ ს. აწყურის მცხოვრებს (თელავის მაზრა) დავით მერაბის ძე გამყრელიძეს და ს. იყალთოს მცხოვრებს აკაკი ტარიელის ძე გვაზავას. ვადას ვაძლევ დღიდან ამ წერილის გამოქვეყნებისა ათ დღეს. და თუ სამედიატორო სამართალში გამოყოლას არ ისურვებს, იმ შემთხვევაში ვალდებულათ ვხდი ამავე გაზეთის საშუალებით ბოდიში მოიხადოს ჩემს წინაშე და თუ ამას არ ისურვებს, ვინარჩუნებ უფლებას მოვუყარო სხვა გზით.

იყალთოს საზოგადოების კომისარი ლავ.

რონი კაპიტონის ძე ჩხიკვაძე.

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲚᲔᲑᲐᲜᲘ

ᲔᲥᲘᲛᲘ

ᲙᲔᲙᲔᲚᲘᲐ

იღებს ენერიულ სნეულებიან ავათმყოფთ (914, 606 შეშხაპუნება) მიღება დილის 10—11 ს. საღამოს 4—6 საათ. მისამართი: მიხეილის პრ. № 116 სასტუმრო „ნოეს“ პირდაპირ. ტელ. 14—28.

კბილის საექიმო კაბინეთები
თეოდორა საყვარელის ძე ცხიკვიშვილისა

ავადმყოფები მიიღება ყოველდღე დილის 9—2 საათამდე და საღამოს 5—8 საათამდე. გარდა კვირა დღეებისა. მისამართი: კალრუბნის ქუჩა (ყოფილი ბარონის), სახელმწიფო ბანკის პირდაპირ, ტელეფონი 13—35.

ᲔᲥᲘᲛᲘ

Ნ. Გ. ᲒᲔᲒᲔᲭᲙᲝᲠᲘ

სპეციალურად—პავშვთა და შინაგანი ავადმყოფობანი: ავადმყოფობანი გულისა და ფილტვებისა, ყურლანოვის ქუჩა № 10. მიღება საღამ. 5—7 საათ. ტელეფ. 17—68

ᲒᲐᲘᲮᲡᲜᲐ ᲗᲑᲘᲚᲘᲡ ᲡᲐᲐᲕᲐᲓᲛᲧᲝᲤᲝ
(მუდმივი საწოლებით)

ᲔᲥᲘᲛᲘ ᲓᲝᲜᲮᲘᲜᲘᲡᲐ

ყოფილი ასისტენტი უნივერსიტ. თვალ. კლინიკისა ვენაში და პარიზში. ავათმყოფების მიღება ყოველ დღე 9 საათიდან 1 საათამდე და 4—7 ნახევარ საათამდე. მიხეილის პროსპექტი № 141 (კინემატოგრაფ „აპოლოს“ ახლოს) მძიმე ავათმყოფები და საოპერაციები მიიღებიან სრულ პანსიონში. ტელეფ. 5—96.

ᲔᲥᲘᲛᲘ

Ვ. Ნ. ᲩᲣᲞᲠᲘᲜᲘᲜᲘ

იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულებიან ავათმყოფთ ყოველ დღე 1—3 საათამდე. მისამართი: ნაძალადევი. ბასსეინის ქ., № 30.

ᲔᲥᲘᲛᲘ

Დ. Ვ. ᲯᲐᲕᲐᲮᲘᲨᲕᲘᲚᲘ

იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღ. 4—6 საათამდე. ბინა ვერა, გუნიბის ქ., № 41, ტელ. № 14—60.

ᲔᲥᲘᲛᲘ Ს. Ა. ᲨᲐᲤᲠᲐᲜᲘ.

სპეციალურად სიფილისი და მისი შედეგები (შეშხაპუნება 606 და 914), ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების სნეულებანი. ავათმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 8—11 და საღამოს 5—8 საათამდე. ქალების საღამოს 4—5 საათამდე. კვირაობით მხოლოდ დილით. მისამ: ოლდას ქ. № 33.

ᲔᲥᲘᲛᲘ ᲜᲘᲙᲝᲚᲝᲖ ᲘᲕᲐᲜᲔᲡ ᲫᲔ

Მ Ა Ხ Ვ Ი Ლ Ა ᲫᲔ

იღებს სპეციალურად—მალარიით (ციება) და მისი შედეგებით დასნეულებულთ, ხიხლის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა, ქარებით და სხვა შინაგან სნეულებით ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოთი 4—6 საათამდე. ელექტრიზაცია. მისამართი: მოსკოვის ქ. № 11, ზემელის ავთიაქის ახლოს.

ᲔᲥᲘᲛᲘ

Ი. Გ. ᲙᲝᲜᲘᲔᲕᲘ

იღებს შინაგან სნეულებიან ავათმყოფთ საღამოს 5—7 საათ. ვერა ვარდის უბნის ქ. № 3.

ᲛᲔᲓᲘᲪᲘᲜᲘᲡ ᲓᲝᲥᲢᲝᲠᲘ
ბერლინის უნივერსიტეტისა

Გ. Გ ᲛᲔᲒᲠᲐᲒᲘᲐᲜᲪᲘ

შინაგანი ავადმყოფობა, ჰოლექისა და გულისა. იღებს ახალ რენტგენის—ელექტროწამლობის კაბინეტში; გასინჯვა და წამლობა X ს სხივებით დიდი სალენოიდი და არსენვალის ტოკით ფილტვების, გულის და სხვა შინაგანი ავადმყოფობისათვის. ღარიბებს უფასოთ. ყოველ დღე დილის 9—1 საათამდე და საღამოს 5—8 საათ. ბეგუოთოვის ქ. № 23, ტელეფონი 7—92

ᲔᲥᲘᲛᲘ ᲫᲐᲚᲘ

Ე. Ს. ᲙᲐᲠᲣᲙᲔᲡ — ᲒᲔᲒᲣᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘ

იღებს შინაგან სნეულებიან ავათმყოფ ყოველ დღე დილის 12—2 საღამოს 4—6 საათ. იძლევა საბებიო დარიგებას. მასამართი: ბელინსკისა და იზმაილოვის ქუჩების კუთხე № 24—28. შესასვლელი იზმაილოვის ქუჩიდან.

ᲥᲘ ᲫᲐᲚᲘ

Ვ Ა Ი Ნ Ი

იღებს სპეციალურად საბებიო და შინაგან სნეულებიან ავათმყოფებს ყოველ დღე საღამოს 3—6 საათ. მისამართი: სუდებნაია, 33 ეზოში.

ᲔᲥᲘᲛᲘ

ᲐᲜᲐᲡᲢᲐᲡᲘᲐ ᲚᲕᲝᲕᲘᲩᲘ-ᲝᲠᲚᲝᲕᲡᲙᲘ

მიიღეს შინაგან სნეულებიან და ბავშვების ავადმყოფებს. სპეციალურად მალარიის (ციების) წამლობა. ყოველ დღე დილის 12—2 ს. და საღამოს 6—7.

ქსენიევის ქ. № 9, ტელ. 12—88. (25—6)

Ა. Ნ. ᲨᲐᲢᲘᲚᲝᲕᲘ

იღებს თვალის სნეულებიან ავათმყოფთ საღამოს 4—6 საათ. სემინოროვის ქუჩა, სახ. № 4 (ვორონცოვის ხიდის ახლოს).

ᲔᲥᲘᲛᲘ ᲫᲐᲚᲘ

Რ. Გ. ᲨᲘᲨᲚᲝ-ᲡᲐᲒᲐᲨᲕᲘᲚᲘ

მედიცინის დოქტორი ჟენევის უნივერსიტეტისა და ედინბურგის მედიცურ ქირურგიულ კოლეჯისა. იღებს ყოველ დღე შინაგან, ქალურ და ვენერიულ ავადმყოფთ და იძლევა საბებიო დარიგებას. სიფილისის წამლობა ახალი მეთოდებით. დილის 10—12 ს. და საღამოს 6—7 საათ. მიხეილის პრ., № 119, ტელეფონი № 9—26.

ᲐᲙᲘᲜᲫᲘ ᲥᲐᲠᲘᲜᲐ ᲒᲘᲝᲠᲒᲘᲫᲔ

მიიღებს შინაგანის, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებით ავადმყოფებს დილის 12—1½ საათამდე. საღამოს 5—6½. მაიდანოვის ქუჩა № 7. ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ. ტელეფონი 16—65.

ᲒᲐᲮᲡᲜᲘᲚᲘᲐ

ᲙᲔᲠᲫᲝ ᲡᲐᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝ

მუდმივი საწოლებით.

მიიღება ყოველგვარი სნეულებიანი ავათმყოფნი.

მიხეილის პრ. № 141 (კინემატოგრაფ „აპოლოს“ გვერდით) ტელეფ. 5—97. ავათმყოფთა მიღება სპეციალისტ ექიმებისაგან ყოველდღე დილის 9 საათიდან საღამოს 7 საათამდე. ოპერაცია, კონსულტაცია, „914“ და „606“ შეშხაპუნება, მასაჟი, ყვავილის აცრა, სტაციონალური ავათმყოფები მიიღებიან სრული პანსიონით.

ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲗᲔᲐᲢᲠᲘ

ოპერა ევლახიშვილის ხელმძღვანელობით.

კვირას, 9 იანვარს, დილით ლ. ავსიანიკოვას და ეზროვის ბენეფისი. შვამბერგის, ვიშემირსკის, ინსას, ოვსიანიკოვას, კანშინის, მოლჩანოვის ნიკოლსკას მონაწილეობით

„ᲠᲣᲡᲚᲐᲜᲘ ᲓᲐ ᲚᲘᲣᲓᲛᲘᲚᲐ“

საღამოს ᲞᲝᲚᲘᲐᲕᲘᲡ 10 წლის სასცენო მოღვაწეობის აღსანიშნავად სამანიევას, სპიტკოს, მოროზოვას, ზალიპსკის, პოლიაევის ნიკოლსკის, ისიცკის, მოლჩანოვის მონაწილეობით

„ᲪᲐᲠᲡᲙᲐᲘᲐ ᲜᲔᲕᲔᲡᲢᲐ“

ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲐ ᲛᲐᲠᲯᲕᲘᲡᲢᲗᲐ ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘ

კვირას, დილის 10 საათზე, ს. ს. დ. მ. პ. მეოთხე რაიონის ბინაზე (ოლდას ქ. 29) მართავს

ᲚᲔᲥᲪᲘᲐᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲗᲔᲛᲐᲖᲔ:

„ᲣᲗᲐᲜᲬᲛᲝᲔᲑᲐ ᲡᲝᲪ ᲐᲚ ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲣᲚ ᲞᲐᲠᲢᲘᲐᲨᲘ“

(გაზ. „სოციალ-დემოკრატის“ ᲯᲣᲤ) ლექციის წაკითხვას ამბ. ს. ᲛᲘᲮᲔᲘᲚᲘᲫᲔ. ლექციის შემდეგ გაიმართება კამათი. მოწვეულია მოწინააღმდეგე ᲯᲣᲤᲔᲑᲘᲡ წარმომადგენლები. შესვლა ყველასთვის 1 მანეთი.

თფ. კომიტეტი.

კვირას, 9 თებერვალს, დილის 11 საათზე

ამიერ კავკასიის უნივერსიტეტში (ბოლოვ. პრ.) დანიშნულია ამ.-კავ. უნივ. ქართველ სტუდენტთა სალიტერატურო სამეცნიერო წრის წევრთა (და თანაგრძნობთა)

ᲦᲚᲘᲣᲠᲘ ᲙᲠᲔᲑᲐ

სხვა ფრიად საყურადღებო საკითხთა შორის გასარჩევია საკითხი წრის შეერთების შესახებ ქარ. უნივ. არსებულ სამეც. წრესთან. თუ დანიშნულ დროზე კრება არ შესდგა—მეორედ ინიშნება 1 საათზე და კანონიერად ჩითვლება რამდენი წევრიც არ უნდა გამოცხადდეს.

ᲡᲐᲚᲘᲢ ᲡᲐᲛᲔᲪ. ᲬᲠᲘᲡ ᲒᲘᲛᲒᲔᲝᲑᲐ.

მუშტაიდი ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲣᲚᲘ ᲙᲚᲣᲑᲘ **მუშტაიდი**

დღეს, კვირას, 9 თებერვალს წარმოდგენილი იქნება

ᲥᲠᲘᲡᲢᲘᲜᲔ

მონაწილეობს მთელი წრე- ბილეთების ფასი სახალხოა. დასაწყისი ს ღ, 6 ნახ. ს. (1—1)

ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲗᲔᲐᲢᲠᲘ „ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘ“-Ს ᲓᲐᲡᲘ.

წარ. № 19 ᲝᲠᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 10 თებერვალს წარ. № 19

„კავშირი“-ს დასის მიერ წარმოდგენილი იქნება მეორეი ი. ᲒᲔᲓᲔᲕᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ პიესა

ᲛᲔᲡᲮᲕᲔᲠᲙᲚᲘ

3 მოქმედებათ.

მონაწილეობს მთელი დასი. რეჟისორი კ. ᲐᲜᲓᲠᲝᲜᲘᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘ. დასაწყისი საღამოს 7 საათზე.

ბილეთები იყიდება თეატრის კასაში.

წარმომადგენელი ა. ᲒᲐᲩᲔᲩᲘᲚᲐᲫᲔ. მსახიობთა კავშირის დირექცია.

მზადდება: სინათლე II ნაწილი. (1—1)

ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲗᲔᲐᲢᲠᲘ

ოთხშაბათს 12 თებერვალს ა. მ. კანშინის გამოსათხოვი ბენეფისი, შვამბერგის, ინსას, მოროზოვას, კანშინის, პოლიაევის, ინაშვილის მონაწილეობით

ᲞᲘᲙᲝᲕᲐᲘᲐ ᲓᲐᲛᲐ

ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲛᲐᲖᲠᲘᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲘᲡ ᲒᲐᲛᲒᲔᲝᲑᲐ

ᲘᲬᲕᲔᲡ ᲘᲜᲭᲘᲜᲔᲠᲡ

პრაქტიკული სტატისტიკა საამშენებლო განყოფილების გამგეთ. სასურველია, რომ გაცნობილი იყოს საერობო მუშაობაში. ქართული ენის ცოდნა აუცილებელია. ცნობებისთვის მიმართონ ერობის გამგეობას 11-დან 1 საათამდე. რუსთაველის ქუჩა (ბოლოვინის პრ. № 6) თფილისის მაზრის ერობის გამგეობა. (2—1)

კვირას, თებერვ. 9-ს საქართველოს მეომართა დამხმარე კომიტეტის ბინაზე (ბოლოვინის პრ., № 24) დანიშნულია კომიტეტის წევრთა

ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝ ᲙᲠᲔᲑᲐ

განსახილველია: 1) მეომართა დამხმარე კომიტეტის მოღვაწეობის მოკლე ანგარიში, 2) ომში დაღუპულ და დასახიჩრებულ მეომართა ოჯახების დამხმარე საზ. წესდების პროექტი, 3) მიმდინარე საკითხები. (2—2)

მე-4 რაიონული კოლექტივი და 1, 2, 3 და 13 უბნების საარჩ. კომისიები

კვირას, 9 იანვარს, საღ. 5 საათზე, ს. ს. დ. მ. პ. მეოთხე რაიონული კოლექტივის ბინაზე (ოლდას 29) დანიშნულია ამავე რაიონის პარტიის წევრთა

ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝ ᲙᲠᲔᲑᲐ

დღის წესრიგი: 1) საარჩევნო მუშაობა, 2) მიმდინარე კითხვები. კრებაზე დასწრება სავალდებულოა, როგორც პარტიის წევრთა, ისე ყველა უბნების საარჩევნო კომისიებისა და ქალაქის არჩევნებში ყველა მომუშავეთათვის.

(2—2) **მე 4 რაიონული კოლექტივი და საარჩევნო კომისიები.**

პ. ი. ᲖᲣᲒᲐᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲒᲘᲡ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲡᲐᲮᲚᲘ

სახ. სახ. არსებულ ქართულ სახალხო წარმოდგენებს მმართველი წრის მიერ, კვირას, 9 თებერვალს, 1919 წ. წარმოდგენილი იქნება

„ᲘᲛᲔᲓᲘᲡ ᲓᲐᲚᲣᲞᲕᲐ“

დრამა ოთხ მოქმედებად, ჰაერშანისა, თარგმანი დ. მელხისა.

მონაწილეობენ: ქ. ქ. ს. ანკარა, ე. ბარათაშვილი, თ. გოგოლაშვილი,, ე. იანქოშვილი, ქ ნ. ქალარჯიშვილი, ჭიაურელი; ბ ბ. ნ. გოცირიძე, დ. ბაქრაძე, ორჯონიკიძე, ი. მინდიაშვილი, ა. მეტრეველი, ი. რომანიშვილი, ა. თავდგირიძე, ა. ფალელი, ნ. ჭანკვეტაძე, სალაყაია.

რეჟისორი ივ. ბარველი. დასაწყისი საღამოს 7 საათზე.

შემდეგი წარმოდგენა 13 თებერვალს. (2—2)

სახალხო განათლების სამინისტროს ნებართვით დაარსდა პირველი

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲑᲣᲮᲰᲐᲚᲢᲔᲠᲘᲘᲡ ᲙᲣᲠᲡᲔᲑᲘ

ორივე სქესისთვის, წლოვანობის გაანურჩევლად

ᲐᲚ. Გ. ᲡᲐᲐᲗᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡᲐ (წელიწადი მეორე)

ბუხგალტერიის სწავლა, კანტორის საქმის ცოდნა და სხვა კომერციული საგნების შეთვისება მოწყობილია პრაქტიკულად. ახალი მეთოდით 4 თვიანი კურსის შესწავლა შეიძლება 3 თვეში. წესდების გაგება და კურსებზე ჩაწერა შეიძლება ყოველ დღე დილის 10—12 საათამდე და საღ. 4—6 საათამდე. თფილისი, დუშეთის ქ. სახლი № 9 (წყნეთის ქუჩასთან ახლოს), 1-ლი უბანი, ტრამვაის ვაგონი № 5 და 9). (4—3)

ᲡᲐᲡᲝᲤᲚᲝ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲒᲘᲡ ᲙᲣᲠᲡᲔᲑᲘ

მიწათ მოქმედების სამინისტრო ხანის ამ მიმდინარე თებერვლის 17-ს სასოფლო მეურნეობის საღამოს კურსებს ორივე ქესის პირთათვის სამი განყოფილებით: ჭირნახულის მოყვანის, საქონლის მოშენების (მერძეობითურთ) და მებაღეობის (ძვირფასი მკენარეებით).

თხოვნას იღებენ მიწათმოქმედების სამინისტროს შენობაში (პეტრე დიდის ქუჩა, № 22 შესავალი ეზოდან, მესამე სართული), პირველი საათიდან სამ საათამდე.

თხოვნაზე ორი თეთრ მანეთიანი მარკა უნდა იყოს დაკრული. (10—4)

ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲛᲔᲑᲠᲐᲫᲝᲚᲗᲘ!

ქართველთა ლეკიონი იწვევს მოახალისეებს ახალციხეში მოღალატეების წინააღმდეგ საბრძოლველად! მამულიშვილნო, ერთხელ კიდევ დაუმტკიცოთ მტრებს ქართველი ხალხის გმირობა. მოიყარეთ თავი ლეგიონის დროშის ქვეშ!

მისამართი: დიდი მთავრის ქუჩა. მეორე ვაგონა გიმნაზიის სახლი.

ლეგიონის სარდალი ლეო კეფესელიძე. (6—5)

ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲣᲚᲘ ᲡᲢᲐᲛᲑᲐ ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲘᲡᲘ, ᲒᲐᲛᲐᲕᲘᲡ ᲛᲔᲠᲒᲔᲚᲘ. № 1.